ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 574

22 ნოემბერი
"___" _____ 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ფხოვის ქ. №3-ის მიმდებარედ არსებული 53 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.15.04.020.034) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „დელისთვის" (საიდენტიფიკაციო № 400267117) გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ფხოვის ქ. №3-ის მიმდებარედ არსებული 53 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.034) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დელისთვის" (ს/ნ: 400267117) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 16 ოქტომბრის №24.1720.1945 განკარგულებით გათვალისწინებული - ქალაქ თბილისში, ფხოვის ქუჩა № 3-ის მიმდებარედ არსებული 53 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: № 01.15.04.020.034) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „დელისთვის" (საიდენტიფიკაციო №400267117) გადაცემაზე, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 15900 (თხუთმეტი ათას ცხრაასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე